

სპორტიელი

ეროვნული
ბიზნისი

სპორტული გაზეთი

სამუშაოთი 30 ივლისი 2002 №140 (1662)

ფასი 50 თეთრი



ჩივალდო ჩაპა კალაქესთან, კალაქე არ ჩაპა ჩივალდოსთან

უქმებზე იტალიურმა „მილანმა“ ერთი თამაში მოიგო, მეორე ფრედ დაამთავრა გამარჯვება ლომბარდიელებს საფეხბურთო კომპეტის უნიშვნელოვანეს უბანზე ერთი „ბარსელონას“ განაყარი რივალდოს დასაკუთრება ბარე ორი კლუბის უდიდესი სურვილი გახლდათ და ისე მოხდა, რომ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელთაგანი და ქართველი კახა კალაქე „მილანში“ მხარდამხარ ითამაშებენ. კალაქეს რივალდოს კონკურენტია არ შეაწუხებს, მათი სათამაშო ფუნქციები სხვადასხვა ვახლავთ, მაგრამ ბრაზილიელ ვარსკვლავს კლუბის წინააღმდეგ არანაკლებ სახელთანა გამოიყვება მოუწევს, მაგალითად, რუი კოშტასი და „მილანის“ შეფები ამბობენ, რივალდოს ძირითადში მარტო ლამაზი თვალებისთვის არ დავაყენებთ, მთელი ძალით ვარჯჯა მოუწევსო.

ფრეს კი „მილანმა“ მწვანე მიწაზე „გლაზგო რეინჯერსთან“ ამსანაგურ ბრძოლაში უწია. ბარიერის სხვადასხვა მხარეს იდგნენ შოთა არველაძე და კახა კალაქე რომელთა როლი და ადგილი საქართველოს ეროვნულ გუნდში კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ კალაქეს შინდისფერ ლეგიონში ვერც 21 აგვისტოს, თურქეთა პირისპირ ვიხილავთ ლევან კალაქე ხომ ისევ გამტაცებელთა ხელშია.

უქმებზე ქართველთა აქტივობა სხვა თამაშშიც შეინიშნებოდა. „სვ ვინდპოვინმა“ 3:2 მოუგო „ფრაიბურგს“, ვოვა ვახოკიძემ გაიტანა, ხოლო გერმანელებში ერთნენ ლევან კობიაშვილი, ლევან ცხიტიშვილი და რაც მთავარია, ვიორგი კეჩაძე ვისაც ტრავმამ 2 საფეხბურთო წელი დააკარგვინა.

სიცოცხლის თაღი

გაცი, რომელმაც
მომიგო სიცოცხლე,
ათასობით იმედი
და მეოთხე
ტურ დე ფრანსი



მე-18 ეტაპის დღეს პელოტონში გარეულ „პოსტალ სერვისის“ ავტომანქანაში მამა-შვილი ლოიდები ისხდნენ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჯულიანს, უმცროს ლოიდს ექიმებმა კიბო დაუდგინეს.

პელოტონს ფინიში ბურ-ან-ბრეშში ჰქონდა. მამას ჯულიანი იქ მორიგ ექიმთან კონსულტაციისთვის არ მიჰყავდა. ლოიდებს ბრეშში არც ექიმბაში ეგულეობდათ. კაცი, რომლისგანაც ყველაზე დიდ დახმარებას ელოდნენ, იქვე, პელოტონში, ლიდერის მაისურაში გამოწყობილი მიჰყვებოდა თანაგუნდელებს...

... 7 წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატიდან ინდივიდუალურ რბოლაში ჩემპიონის ტიტულით დაბრუნებულ 23 წლის ახალგაზრდა სპორტსმენს ექიმებმა სასაქესო ჯირკვლის კიბო დაუდგინეს. საშინელ სენთან ბრძოლა ადამიანის გამარჯვებით დასრულდა და ეს ფაქტი იქცა კიდევ სტიმულად ამგვარი სენით შეპყრობილ ათიათასობით ადამიანისთვის. პარალელურად შეიქმნა ფონდი, აქ მობილიზებული მილიონობით დოლარი კიბოს წინააღმდეგ ბრძოლას ხმარდება.

აი, ასეთ კაცთან შესახვედრად მიჰყვებოდნენ პელოტონს მამა-შვილი ლოიდები. ის, თავის ლურჯ-თეთრ მაისურიან თანაგუნდელებთან ერთად რიგით მეოთხე ტიტულის გზაზე იდგა. ის ლენს არმსტრონგი იყო: ტურის ან უკვე ოთხე ზის ტრიუმფატორი!



ლენს არმსტრონგი ტრიუმფალურ ფინიშს შეეგება

ლეგირონი ნყვილად კალაქამ თურქეთი იუარა კიკნაქე წელში გაიბარა



კახა კალაქამ შეუცვლელად ითამაშა

ამ ორ მატჩში ქართველებიდან მხოლოდ ალექსანდრე იშვილს არ უთამაშია, რომელსაც ფენის ტრაგემა აწუხებს და ჯერჯერობით მსუბუქად ვარჯიშობს. სამაგიეროდ „ფრაიბურგის“ შემადგენლობას უკვე გაუშინა ურდა და ნელ-ნელა ფორმას იბრუნებს გიორგი



ლევან კობიაშვილი

პროპაზაქამ ტორკაქლო გაპოიხნო

ფარერის კუნძულები „B36 ტორსჰაგენის“ ძლევით ქუთაისის „ტორპედო“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. აქ ტორპედოლთა მეტოქე პრადის „სპარტა“, უქველესი (გაისად საუკუნისა შეიქნება) და ყველაზე სახელოვანი ჩეხური კლუბია „ტორპედო“ ხვალ სტუმრად ეთამაშება პრაღის 7 აგვისტოს კი მათ ქუთაისში უმასპინძლებს. ამ წყევლში ფავორიტად „სპარტას“ რომ მიიჩნევენ, ვასაკვირი არაფერია. ჩემპიონთა ლიგის ლამის უკველი ბინადარს, ცხადია, „ტორპედოზე“ გაცილებით მეტი შანსი აქვს, თუმცა ისიც სათქმელია, ამ შანსს გამოიყენება უნდა დღეს ფეხბურთის ისეთია, მეტოქე ჯერჯერობით თუ არ შეაფასებ, შენზე სუსტეს საგულდაგულად არ შეისწავლე, შეიძლება მძინარე დაგვიდგეს. იციან ეს ამბავი ჩეხებმა და ამიტომ აფრინებს ორი კვირის წინ პრადიდან ქუთაისში თავიანთი წარმომადგენლები სავარაუდო მეტოქის დასაზვერად და არც საბასუნო მატჩზე იუკადრისეს დამკვირვებლების გავზავნა.

„სპარტას“ გენერალური მენეჯერი მიროსლავ პელტა, მთავარი მწვრთნელის ერთ-ერთი ასისტენტი ზდენეკ პროპაზაქა და ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო დირექტორი იაროსლავ დუღლი — ეს ის ხალხია, ვინც კუნძულებთან „ტორპედოს“ ქუთაისურ მატჩს აღეგნებდა თვალს. მაშინ ჩეხებთან გამოლაპარაკების შესაძლებლობა მოეცემა და, ცხადია, ხელიდან არ გავეცივია. სტუმრების ნაუბარი ორ კვირას შემოვიინახეთ, იმის გათვალისწინებით, რომ მკითხველისთვის ის „სპარტა“ — „ტორპედოს“ დამირისპირების წინ უფრო საინტერესო და აქტუალურიც იქნებოდა.

რეინვარტი 2:2 მილანი
11 დე ბური (16), 21 კანიჯა (42), 21 ტომასონი (45), 22 ბორიელი (80)
რეინვარტი: კლოსი, რიკსენი, ამორუზო, მური, ნემანი, რ. დე ბური (ლატბაძე 79), ჰ. ფერგიუსონი (მოუზი 73), არტეტა (ნერლინგერი 56), ლოვენკრანდსი (ფლო 73), კანიჯა (როსი 79), ბრევილი

კიკნაქე, რომელმაც თითქმის ორი სეზონი წელის ტკივილის მეურნალობას შეაღია. ასე-თან მან შეცვლაზე ითამაშა 15 წუთი და მიუხედავად ამისა, მწვრთნელი ფოლკერ ფინკე კმაყოფილი დატოვა. მატჩი პოლანდიელებმა 3:2 მოიგეს. ერთი გოლი კი გოვა გახოკიძემ გაიტანა, რომელიც გუს ჰიდინკმა ბოლოსკენ შეცვალა.

— ასეთი პრეზენტაცია, ქომაგთან შეხვედრა ყოველი სეზონის დაწყებამდე ეწყობა და სათამაშოდ სახელოვან გუნდებს ვიწვევთ — გვითხრა „ფრაიბურგის“ ნახევარმცველმა ლევან კობიაშვილმა — წლეულს პსვ გვესტუმრა. პოლანდიელები ესპანეთში იყვნენ მოსამზადებლად და იქიდან ჩამოვიდნენ. მატჩი ამხანაგური კი იყო, მაგრამ საკმაოდ დაძაბული და ცოტა უხეშიც გამოვიდა. პსვ-ს უკვე დასტყობია ჰიდინკის ხელი. პოლანდიელებმა ძალიან კარგად ითამაშეს და მათგან ერთ-ერთი გამორჩეული გოვა ვახოკიძე იყო. ერთი გოლი ხომ გაგვიტანა და ერთიც საგოლე პასი გააკეთა. თავადვე გვითხრა, მწვრთნელი კარგი თვალით მიყურებსო. ნამატჩვეს გოვა ჩვენთან დავატყვევით, შინ დავსხედით და კარგა ხანს ვისაუბრეთ. შესაძლოა, თურქეთთან სათამაშოდ ტრამპონში ერთად ჩავიდეთ. ყველაზე გასახარი კი ისაა, რომ ტრამპონისგან დატანჯული გიორგი კიკნაქე ათამაშდა. ფინკე მას სულ უფრო ხშირად ენდობა. კვირას თურქეთის „კოჯაელის“ შეხვედრაში გა-

ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად ქართველ ლეგიონერთა გუნდებმა წყვილად გამართეს ამხანაგური მატჩები. „ფრაიბურგმა“ თავის „დრაიხამსტადიონზე“ ჩემპიონატისწინა პრეზენტაცია მოაწყო და მეტოქედ შოტლანდიური პსვ მიიწვია. შოტლანდიურმა „რეინჯერსმა“ კი „მილანს“ უმასპინძლა

ვევიბრეთ, 2:1 მოვიგეთ და კიკნაქე მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. „მილანის“ შემადგენლობაში, როგორც ყოველთვის, ახლაც საიმედოდ ითამაშა კახა კალაქამ. შოტლანდიელთაგან ყველაზე აქტიური კი შოთა არველაძე იყო, თუმცა გოლის გატანა ვერ მოახერხა. მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა. მილანელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თამაშისას თითქმის მიუღი გუნდი შეცვალა, მათ შორის შევქენციც, კახამ კი მოედანზე თავიდან ბოლომდე დაჰყო და გლაზგოდან მილანში დაბრუნებული ახლა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, რივალდოს ედის.

— ბრაზილიელი მილანში ჯერ არ ჩამოსულა. ის ამ დღეებში შემოგვიერთდება. რივალდოსი ყველას ეიმედება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული ექნება. მას საკმაოდ ძლიერი კონკურენტი ჰყავს — რუი კოსტა დღესდღეობით კარგ ფორმაშია. ანჩელოტიმ კი არა მგონია, რომელიმე მხოლოდ სახელის გამო ათამაშოს. ახლა მადრიდში მივემგზავრებით. საერთაშორისო ტურნირში ჩვენ, „ბაიერნი“, „ლივერპული“ და „რეალი“ ვითამაშებთ. თურქეთთან ამხანაგურ მატჩში კი არა მგონია, მონაწილეობა მივიღო. ბევრჯერ მითქვამს, ჩემი ძმა გაათავისუფლონ და მერე, რა თქმა უნდა, ნაკრებსაც დავებრუნდები — გვითხრა კახა კალაქამ.

კობა ინასარიძე

ფრაიბურგი 2:3 ბენფიკა
11 კუიბალი (6), 11 ნახშირძი (40), 12 ფოგელი (47), 13 ვენგლორ ოფ შესელინი (51), 23 ანინი (61)
ფრაიბურგი: გოლი, დიარა (კრუზე 46), მურლერი, ბურნერი, ციერი (მომინგოლი 46), ბაიარაშოვი (პანბაძე 76), მონამინი (მერმილი 66), ბუტი (გერბერი 76), ვილი (მაინერი 46), ბრუნსი (ანინი 57), კუიბალი



გიორგი კიკნაქის „ფრაიბურგს“ გოვა გახოკიძემ გაიტანა



გიორგი კიკნაქის „ფრაიბურგს“ გოვა გახოკიძემ გაიტანა



რატომ გაშავდა და გაწითლდა რივალდო?

რივალდო „მილანში“ გადავიდა. იტალიური პრესის ცნობით, კლუბმა ბრაზილიელ მსოფლიოს ჩემპიონს წელიწადში ჯამაგირად 4,5 მილიონი ევრო დაუნიშნა, თავად ვარსკვლავმა კი, რომელიც ამ დღეებში სან პაულუში ბრძანდებოდა, განაცხადა, მოუთმენლად ველი ახალი ცხოვრების დაწყებას, განსაკუთრებით კი მილანურ დერბის, სადაც რონალდოსთან მომინევეს დაპირისპირება. მოგესხენებათ, რონალდო მილანის მეორე გუნდის, „ინტერის“ ფეხბურთელია...

„შპვი შემოვიყრი რონალდოს წინააღმდეგ თამაშის სურვილმა — თქვა რივალდომ — მეონი, ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს. ის ჩემი მეგობარია და ერთად რა შეგვიძლია, მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე ვაჩვენეთ. ახლა, დაპირისპირებულ გუნდებში მოგვიწევს თამაში. დარწმუნებული ვარ, მომავალი სეზონის პირველი მილანური დერბი მთელი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო სანახაობა გამოვა. ძალიან ბედნიერი ვარ, „მილანთან“ კონტრაქტი რომ გავაფორმე. ეს სწორედ ის კლუბია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონად მდიდარებს და საკადრისად მუყარობა.“

რივალდოს გადასვლა ბრაზილიაში აწარმოებდნენ, მაგრამ, როგორც „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ბრძანებს, მთელი ამ ხნის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ ფეხბურთელს მათთან გარიგება სურდა: „იმ დღეებში ჩვენ ზმირად ვუკავშირდებოდით რივალდოს და ყოველ სატელეფონო საუბარში ის იმეორებდა, რომ „მილანში“ გადმოსვლა სურდა. ასეთი დამოკიდებულება იმედს გვაძლევდა. ფეხბურთელის მკაფიოდ გამოხატული სურვილი კონტრაქტის გაფორმების გარდა სხვა გზას არც გვიტოვებდა.“

ნებნიერა ბავშვი ვინ იქნებოდა რონალდო, სკოლარის ყური რომ არ აეფია



ლუიზ ფელიპე სკოლარიმ და რონალდომ ერთმანეთი დასიტყვეს

ბრაზილიელმა მესამედმა გამჩემპიონებელმა ლუიზ ფელიპე სკოლარიმ ადგილობრივ რადიოსთან ინტერვიუში პირი მთალო და თანამედროვეობის უნიჭიერებს თავდასხმელზე რასაც ფიქრობდა, ყველაფერი თქვა — სკოლარის თანამემამულე რონალდოზე მოგახსენებთ.

მოვლინებას ვეღარასდროს შეძლებს მან ორი უმძიმესი ოპერაცია გაიკეთა მარჯვენა მუხლზე, რაც არ მისცემს საშუალებას, ის ძველი დროება გაგვანსენოს, როდესაც მას „ფენომენი“ შეარქვეს.“

რონალდო ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავი კი არის, მაგრამ თავისი შესაძლებლობების 100 პროცენტის გა-

„ეს სიახლე, ბუნებრივია, ატმოსფეროს მნიშვნელოვნად გამოაკეთებს. წარმოიდგინეთ, რამხელა საჩუქარია. ფეხბურთელი, რომლის შესაძენად, ერთი წლის წინ 50 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა, თავისუფალი აგენტის სტატუსით ანუ უფასოდ გივარდება ხელში. ჩვენ მზად ვართ, გაშლილი ხელით მივიღოთ დიდი ჩემპიონი, რომელიც შავ-წითელი მაისურის ისტორიაში, უთუოდ ერთ-ერთი უთვალსაზიროესი იქნება და მასთან ერთად სეზონის ფაფორიტებად ვიქცეთ — ასეთ ფაფორიტად თავი არასდროს გვიგრძენია.“

„მე მას ფეხბურთი სხვა მხრიდან დავანახე, რასაც გუნდის ინტერესები ჰქვია. ხდებოდა ისე, რომ რონალდოს ყურსაც ვუწევდი და მხოლოდ ამის მერე მიჯერებდა.“

რა გასაკვირია, რომ რონალდომ დამრიგებლის ნათქვამი უპასუხოდ არ დატოვა და თავის საინტერნეტო გვერდზე გულშემატკივრებს გული გააღუშლა: „ახლა თავს ისე კარგად ვგრძობ, როგორც არასდროს. შემძლია, ჩემი შესაძლებლობების 100 პროცენტი კი არა, 200 პროცენტი გამოვაგლინო. მოედინიდან გასვლის შემდეგ არანაირ ტკივილს არ ვგრძობ და დამეიწყა კიდევ რომელი ფეხზე გავიკეთე ოპერაცია. სწორედ ამიტომ ვითამაშე მუნდიალზე ასე კარგად.“

ბოლოს რონალდო „განებიერებული ბავშვის“ თემასაც შეეხო: „ფეხბურთის თამაშისას მე ერთ რამეს მივხვდი. არიან ისეთები, რომლებიც მოგების შემდეგ უფრო უწესოდ იქცევიან, ვიდრე წაგების შემთხვევაში.“

ასე რომ, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე შესმატკივლებულ შეგირდსა და დამრიგებელს შორის შავმა კატამ გაიბრინა. უბრალოდ, საწყენია, როდესაც მწერთელი ვერ ხედავს მოთამაშის მიერ გაწეულ ანაგს. რონალდომ ხომ ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ყველაზე ძელი, ფსიქოლოგიური ბარიერი დაძლია და მოედანზე დაბრუნებიდან სულ რაღაც თვეების გასვლის შემდეგ ფეხბურთის უპირველეს ფორუმზე სრული ბრწყინვალეობით წარმოვივლია.

ზურაბ რუპაშვილი

„რივალდოს დამატება ჩვენი თამაშის ხარისხს გააუმჯობესებს. ის აგრეთვე ფეხბურთელთა შორის კონკურენციის გამაფრებებს შეუწყობს ხელს. რივალდოს ორ ფორვარდს უკანაც შეუძლია თამაში და ფორვარდობაც ჩინებულად ეხერხება. ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩვენს მიერ არჩეულ სისტემაზე იქნება დამოკიდებული, თუმცა ვიცით, რომ თავად ფეხბურთელს მოედნის სიღრმიდან შეტევა ურჩევია“ — თქვა ანელოტიმ.

როგორც ჩანს, რივალდოს გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა იქონიეს მისმა თანამემამულეებმა, ბრაზილიის ნაკრების „მილანში“ მოთამაშე წევრებმა, ცენტრალურმა მცველმა როკე ფინიორმა და სათადარიგო მეკარე დიდამ.

„დახე, ჩემი არჩევანი ამ ფაქტორმაც განაპირობა — ამბობს რივალდო — როკე ფინიორს, დიდას და სერჟინიოს (სერჟინიო ნაკრებში არ ყოფილა) ველაპარაკე, რომელთაც ბევრი დადებითი რამ მითხრეს კლუბის შესახებ. კერძოდ, ვისაუბრეთ ორგანიზაციაზე, სისტემაზე და ფეხბურთელებისადმი მიპყრობაზე. სერჟინიომ სულაც პირდაპირ მითხრა, არც იფიქრო, „მილანში“ გადმოსვლას უსიტყვოდ დაეხმებოდით. იცით, რა არის მთავარი? სხვა წინადადებებზე მქონდა, მაგრამ „მილანმა“ მაგრძობინა, რომ მნიშვნელოვან ფეხბურთელად მიგანიჭარ. ამიტომაც ბევრი აღარ მივატრია.“

შემდეგ რივალდო დასძენს: „დროის ამბავი იყო. ყოველთვის ვგრძობობდი, რომ ადრე თუ გვიან, იტალიაში მომიწევდა თამაში. ამ ქვეყნიდან გეპირველი ნახავს „მილანმა“ გადადგა, გუნდმა, რომელსაც „ბარსელონა“ რანგის ქონდად მოიწვევდა და მივიჩნევე ანელოტი კი, ჩინებული მწვრთნელი რომ არ იყოს, „მილანი“ ამბიციების დასაკმაყოფილებლად სხვა სპეციალისტს აირჩევდა.“

ერთი სიტყვით, რივალდო „მილანში“ გადავიდა და თან იმ დროს, როდესაც ევროპაში, ყველაზე მეტად კი იტალიაში, საფეხბურთო-ფინანსური კრიზისია. ამბობენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონის გამოჩენა „მილანის“ კომპეტენციის ციდან ღრუბელს გაუფანტავს. იმასაც ამბობენ, რომ კლუბს, რომლის პრეზიდენტიც, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონია, ასეთი ტრანსფერი წინა საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ არ განუხორციელებია. იგულისხმება ჰოლანდიელების, რუულ გულიტისა და მარკო ვან ბასტენის შეტენა.

უნახოთ. წესით „შავ-წითლები“ ახლა უკვე მხოლოდ უმაღლესმა ჯილეფობმა უნდა დააკმაყოფილოს. ბოლოს და ბოლოს, ამ მკვდარ, სატრანსფერო სეზონში „მილანმა“ სამი მოთამაშის, ტომასონის, კლარენს ზედლერფის და აჯერ, ახლა, რივალდოს შეტენა მოახერხა.

ბაბუნა კვიციანი




კლუბის სახელით რივალდოსთან კონტრაქტს ხელი არიედო ბრაიდიმ მოაწერა

შენი სიტყვა, გაზა!

ინგლისური ფეხბურთის ოდინდელი ვარსკვლავი პოლ გესტინი კვლავ არ ჩქარობს „DC თუნაიტელისთვის“ პასუხის გაცემას. ის აგრძელებს ვარჯიშს გუნდთან და ორმხრივი თამაშის დროს, როგორც ამერიკელი ჟურნალისტები იუწყებიან, საკმაოდ ლა-

მაზი გოლიც გაუტანია. მატჩის შემდეგ გახას უთქვამს: „აქ თავს კარგად და კომფორტულად ვგრძობ. ზედმეტად არაფერს შეგაწუხებს“. თუ გახამ ვაშინგტონელებთან კონტრაქტი გააფორმა, იგი 260 000 დოლარს მიიღებს.



სარგბიელი

პროპოსიის 19-წლიანი რეპორტი



ფერნანდო ტორესმა ესპანეთის გამარჯვებისა გაიტანა

უსენსაციოდ საეს დიდებულა დარჩა

ფინალი
თავანთი იმ გარდასა
19 ტორესი (55)
პროპოსიის 19-წლიანი რეპორტი უსენსაციოდ დამთავრდა. უპრეცედენტო ფაქტობრივად დიდი წინადადება არ გადულახავს, იოლად მიიღო და მორიგი „სახლგაზრდული“ გამარჯვებაც მიითვალა — ეროვნული საფეხბურთო განსხვავებით, ესპანეთის 21-წლამდელი, 19-წლამდელი და სხვა ასაკობრივი ნაკრებები ხომ თითქმის ყოველთვის რაღაცას იკლებენ.

ფილიპ ლამი, ხოლო მოგვიანებით მარსელ შიელი ჩართო, მაგრამ თამაშის ხასიათი აღარ შეცვლილა, გერმანულმა თავდასხმამ იმის გამოტოვება ვეღარ შეძლო, რაც ინგლისთან მატჩის ბოლო წამებზე გააკეთა (90-ე წუთზე 1:3 აგებდა და გაათანბრა), თუმცა შიელი გუნდით წინ წასულმა გერმანულმა საესის ბიჭებს გული მაინც შეუქანეს — ჯერ ტრონივსკიმ დაუმზნა შორიდან, შემდეგ კი მოიას კარს მიხაულ ჰანკეც აცლია.

და ტვივის ეს შეგვიძინებებს — განაცხადა გერმანელთა მწვრთნელმა.
მატი მსახი პოლიტიკის
სლოვაკეთი 2:1 ირანთან
01 ბრენანი (53), 11 ბრუნი (56), 21 ბრუნი (76)
გისავე ადვილი სიტუაცია გამართული ბრძოლა სლოვაკებმა მოიგეს და პეტერ პოლკის ბიჭები სამშობლოში ბრინჯაოს მედლით ჩავედნენ.

უამრავი გამოუყენებელი მომენტით დაზარალებული პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ნახევრის მე-8 წუთზე ირანდამ პირველივე ხიფათი გოლად აქცია. სლოვაკეთა საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს პირველი ბრენანი მისწვდა და მიწაზე დაუშვებლად დაახლოებით 11 მეტრიდან სლოვაკეთა კარში ჩააჭვდა.

ირანდელითა სიხარული დიდხანს არ გაგრძელდებოდა. 3 წუთში ტომას ბრუნი 18 მეტრიდან იდეალურად შეასრულა საჯარიმო და ანგარიშზეც გათანაბრდა.

გამარჯვების გოლი შეცვალა შესულმა იურკომ შეაგდო 75-ე წუთზე სხვათა შორის, ამავე ფეხბურთელს მატჩის ბოლომდე კიდევ ორჯერ შეეძლო ესეირნა, თუმცა ირანდელითა მეკარე პენდეროსის ვეღარაფერი მოუხერხა ბოლო წამებზე ირანდელითა სტივენ უილიტმა შეაწვინა სლოვაკეთა ხარისა, ტრონივსკიმაც დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ ირანდელითა გაათანბრება ვერ მოახერხეს.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like Russia, Spain, and others.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like Germany, France, and others.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like Italy, Netherlands, and others.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like South Korea, Japan, and others.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like USA, Mexico, and others.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like USA, Mexico, and others.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like USA, Mexico, and others.


Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like USA, Mexico, and others.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like USA, Mexico, and others.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like USA, Mexico, and others.

ინდუსტრიული «არქა»
თანამედროვე დიზაინით და ტექნოლოგიებით
ამზადებს ნებისმიერი სახის
საოფისო აგნაჟს
სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს

იყიდება
ვაკუმი, ექუელიძეზე
ახალგარემონტებული,
4-ოთახიანი, დუპლექსის ტიპის ბინა
ტ: 29-13-75; 899 11-64-46



REUTERS გამომცემლობიდან

ქალბაბა თავიანთი არჩვენას

დიდი ბრიტანეთის მეფურ გვირგვინს თუმცა ფორმალურად, მაგრამ მაინც დაქვემდებარებულ ქვეყანათა უმარჯვესი სპორტსმენები მანჩესტერს შეყვრილან და პლანეტის დასახარად ერთმანეთს სპორტულ ჯიბრში უდგანან. სტრიკერებს, თავიანთ ავლადიდებთან ხალხის თავმოყრის ადგილზე წარმოშენ ხალხსაც მეტი რა უნდა, ჩაინად-გაინადეს და მანჩესტერული პუბლიკაც ფრიად ახალისეს.

ამ უქმეებზეც ერთბაშად სამი პროფესიონალი ჩამხდელი შევარდნილა მოედანზე: ერთი და ყველაზე ამოდ საჭერეტი მათგანი. ქალს პროფესიონალიზმი აკლია, ზედსამეფო ოჯახის ლოთის წინ კი გაურბენია, მაგრამ მთლად ყველაფერი არ შემოუბარცვავს, რაც დედის შუცლიდან არ დაჰყვა.

და ისევ მანჩესტერი, თავისი სრულიად ბრიტანული თამაშებით. ამჯერად თქვენ წინაშეა ნაღდი სპორტსმენი. ავსტრალიელმა კერინ მაკკანამა ზემორე ჩამხდელთაგან განსხვავებით საკუთარი ალაგები კი არა, ქალთა მართონზე ყველაზე მცირე დრო აჩვენა და ჩემპიონობაც ჩაიდო ჯიბეში. ქალმა აგრეთვე ხალხს აჩვენა მშობლიურავსტრალიური კენგურუ.



REUTERS გამომცემლობიდან

მობაბა და ნადი

ბევრს ებაქიბუქებოდა კირჯონსონი WBA-ს ვერსიით მსოფლიოს მძიმე ჩემპიონ ჯონ რუისს — ყბებს დაგილევადო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ჩემპიონისგან ისეთი ბარაქიანი მიიღო, ადამიანის სახე დაკარგა, ქურჩური ჩხუბი ატეხა და მსაჯისგან გაბანდურდა.

REUTERS გამომცემლობიდან



ჯგუფური ფოტო სამახსოვროდ

ეს ერთმანეთს შერწყმული გოგოები ესპანელი სინქრო-მოცურაგენი არიან და ბერლინში მიმდინარე საცურაო ვერობირველობაზე თავიანთ ჰიდროპორეოგრაფიულ კომპოზიციას წარუდგენენ მაყურებელს. წყალი არ გაუვა, ხმელეთზე ასე კარგები არც აუზში დაიწუნებინან.



REUTERS გამომცემლობიდან



შენს. რუმსას?!

ნახეთ, რა იშვიათი მონდომებით ატრიალებს პედლებს, რა თავგამოდებით მიჰქრის ფინიშისკენ, სათვალე რომ ჩამოვადროთ, გაბრწყინებული თვალებიც გამოანათებენ. ლიტველი რაიმონდას რუმსასი დაჯილდოვდა წადილით საგსე პედლაობისთვის, ახლახან გალელ ტურდე ფრანსზე მოულოდნელად მესამე ადგილი შეხვდა. აუცილებლად მივულოცავდით, მაგრამ ერთი ეჭვის გამო თავს ვიკავებთ. ხმები დაირხა, სტიმულატორებით მაშაძაღლობსო. ამის ცოლს მანქანაში დობინგი უბოვნეს და წესიერმა ფრანგმა პოლიციელებმა დააბატიმრეს კიდევ ქალბატონი ედიტი. ქმარს ხომ არ ასმევდა ტაბუდადებულ წამლებსო?

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის საგზაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფონცხვერია
დირექტორი ბიორგი ოპრომძეველიძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი

ქართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე

უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: რედაქტორი ბიორგი ღარაჯანიანი

გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიასაშვილი, გიორგი ვაშაქიძე, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქრობირიძე

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კვიციანი, სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი

კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გულუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევეძე, ფატი დვალისი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე

გამომცემი ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაბეის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbili.com.ge>